საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი 22 აგვისტო 1915 წ.

წ. I.

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამა-ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების და-ბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 158 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 158

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

ღრმად დამწუხრებული მშობლები დათა მაჭავარიანი და ევა ხახულის ასული, შვილები მათი: ცეცატა და ლევან მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და ამხანაგთ გარდაცვალებას, პირველნი ძვირფასი შვილისა და მეორენი დაუვიწყარი დის—ეპარქიალურ სასწავლებლის მეხუთე კლასის მოწაფის

**ბაბილინა (მანცარია) მაჭავარიანის ასულისას,**

რომლის დაკრძალვის დღეც დანიშნულია 25 აგვისტოს. სოფელი ლოლეშაბი. 1—1—908

---

დაი სოფიო დიმიტრის ასული და მეუღლე მისი მიხეილ როსტომის ძე ჩხატარიშვილები შვილებით: დიმიტრი, ალექსანდრა და თამარა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ

**ანასტასია დიმიტრი ბაქრამის ასულის**

გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 აგვისტოს, საფიჩხიის სასაფლაოზე. მიცვალებულის გამოსვენება იქნება დილის 9 საათზე საკუთარი სახლიდან აბულაძის ქუჩა.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. 2—1—903

---

დაი ეკატერინე დიმიტრის ასული აბდუშელიშვილისა შვილებით: ყარამანი, ნიკო, ვასო, გრიშა, პეტრე, ადიკო და ელისაბედი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ

**ანასტასია დიმიტრი ბაქრამის ასულის**

გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 აგვისტოს, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება მიცვალებულისა დილის ცხრა საათზე საკუთარი სახლიდან აბულაძის ქუჩაზე.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. 2—1—903

---

20 აგვისტოს ღამის $10^{1}/_{2}$ საათზედ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

**მღ. ლავრენტი ნიკოლოზის ძე ცქიტიშვილი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: მღვდლები იოანნე და პლატონი ლავრენტის ძენი ცქიტიშვილები და პელაგის ლავრენტის ასული ლამბაშიძისა; რძლები ლიდა ტატოს ასული და სარა (საშა) სამსონის ასული ცქიტიშვილებისა შვილიშვილები: გიორგი (იაგორა), ილია, შალვა, ვახტანგი და ვერა იოანნეს ძენი და ასული ცქიტიშვილები და თამარა პლატონის ასული ცქიტიშვილი,

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ, გამოსვენება მღ. იოანნე ცქიტიშვილის ბინიდან ორპირის ქუჩა ლექვინაძეების შესახვევი კვირას, 23 აგვისტოს, დილის $8^{1}/_{2}$ საათზე საკათედრო ტაძარში, საიდანაც წირვის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ქუთაისის სადგურზე სოფ. საქარის საგვარეულო სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

2—1—907.

---

მღვდელი ქსენაფონტე დავითის ძე ლამბაშიძე ცოლი მისი პელაგია ლავრენტის ასული, შვილები ბიძინა. შალვა აბო (ჯუანშერი), გენნადი, ნინა და თამარი ქსენაფონტეს ძენი და ასულნი ლამბაშიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი სიმამრისა, მეორე ძვირფასის მამისა ხოლო უკანასკნელნი საყვარელი ბაბუისა

**მღ. ლავრენტი ნიკოლოზის ძის ცქიტიშვილისას.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩა ლექვინაძეების შესახვევი მღვდლის იოანნე ცქიტიშვილის ბინაზე. გამოსვენება კვირას, 23 აგვისტოს, დილის $8^{1}/_{2}$ საათზე საკათედრო ტაძარში, წირვის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ დაბა ყვირილაში, რომლის ადგილობრივ ეკკლესიიდან სამშაბათს ნაწირვებს მიცვალებულს წასვენებენ სოფ. საქარის საგვარეულო სასაფლაოზე. ცალკე წერილები არ დარიგდება 2—1—907.

---

ელექტრო **„რადიუმი"** თეატრი

ოთხშაბათს, 20 აგვისტოდან **განსაკუთრებით მოზრდილთათვის** ნაჩვენები იქნება სურათი

## მარია ლუსიევა.

6 ნაწ. ამფითეატროვის რომანიდან.

**ანონსი:** ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი **წუმპიადი და მისი საუნჯენი.** დრამა 6 ნაწ. ნათამაშევია ცნობ. არტისტის **მაქსიმოვის** მონაწილეობით.

---

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

## დიდი იაფი ვაჭრობა

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

---

1915 **წ.** 28 **ივლისიდან დაიწყო** **იაფი ვაჭრობა** **ფართლეულის ნაჭრობით და თოფობითაც.**

რადგანაც დროისა გამო შეუძლებელია „ვიბორის შევროვება მაღაზიაში,—მისთვის დავნიშნეთ ერთდროულად **იაფათ გავყიდოთ, რაც ფართალი გვაქვს და მოვსპოთ ვაჭრობა.** ამიტომ ვაუწყებ პატივცემულ მყიდველებს **ისარგებლონ შემთხვევით.**

საქონელია სხვადასხვა: საზაფხულო—სუფთა და მჩალტე, უვალნი, შალების; ამნაირივე უცხოეთის ძაფის, აჟურნი და ვაფლინი ჩითები, საკასტუმეები ყოველ დროის შალეული ქალისა და კაცის. აბრეშუმეული, სტოლის საფრები, ტულები და ქალის შეკერილი პალიტოები და სხვადასხვა. (ფასები უკანასკნელია.) ქუთაისი, აზოვის ბანკის ქვედა სართული.

2—1. **მაღაზია პატარიძისა.**

---

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.

---

**გაბრიელ იოსების ძე**

**ექიმი გოკიელის**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

---

**დოქტორი** **მედიცინისა, პრივატ-დოცენტი**

**ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6.

---

**მასაჟით სამკურნალო** **კაბინეთი**

**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**კერძო ექიმი** **მიხეილ კაშია**

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

---

**ახლათ ჩამოსული რუსი ქალი მასწავლებელი, ამზადებს ფრანგულ და ნემეცურ ენებზე** მოწაფეებს; სურს იმასწავლებლოს ოჯახში.

მისამართი: თბილ. ქუჩა. ს. თგანეზ. ბინა ჭოხონელიძისა.

# ომი

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან)

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 18 აგვისტო. ოფიციალური. ფინანსთა სამინისტროსაგან. იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში, კერძოდ კი უკანასკნელ ხანებში პეტროგრადშიც ემჩნევა სრულიად გაუგებარი და გონივრული თვალსაზრისით უსაბუთო მოთხოვნილება ხალხში წვრილ ვერცხლის ხურდა ფულისა. ამ დროს კი ის პირნი, რომელნიც ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ვერცხლის ფულის მიღებასა და შენახვას, ალბად ფიქრობენ, რომ ვერცხლის ფულს მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე ქაღალდისას. ასეთნი პირნი ალბათ ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ვერცხლის ხურდა ფულში ვერცხლის რაოდენობა სრულიად არ ეთანაბრება ფულის ღირებულებას. კანონის ძალით (ფულთა წესდება, 14 მუხლი) ვერცხლის ხურდა ფულის 1000 მანეთი იწონის 1 ფუთს 3 გირვანქას და $91\frac{4}{5}$ მისხალსა; ან და ერთ ფუთ ლიგატურიან ვერცხლისაგან 500 პრობისა იჭედება 910 მანეთი და 22 კაპეიკი. ამ დროს კი ნაიდვილი თანამედროვე ღირებულება ნახევარი ფუთი ვერცხლისა არის 440 მანეთი, სპილენძისა კი—13 მან. ე. ი. ერთი ფუთი ვერცხლი 500 არბისა ღირს სულ—453 მანეთი. აღნიშნულმა პირებმა ამას გარდა შემდეგში შეიძლება პასუხი აგონ ადმინისტრაციის წინაშე სხვა და სხვა ხრიკებისა გამო ხურდა ვერცხლის ფულის მოგროვების დროს. ამას გარდა მათ განაღდების დროს შეიძლება დიდი დაბრკოლება ნახონ წვრილი ვერცხლის ფულით გასტუმრების დროს, რადგანაც კანონის ძალით (ფულების წესდების 29 მუხლი). კერძო პირების მიერ სავალდებულოა ვერცხლის ხურდა ფულის მიღება არა უმეტეს სამი მანეთისა, ყოველი განაღდების დროს. კანონის ისეთი დადგენილების ძალით კერძო პირებს უფლება აქვთ უარი სთქვან ვერცხლის ფულის მიღებაზე დიდი თანხა თუ იქნება და შეუძლიათ მოითხოვონ გადახდა ქაღალდის ფულით. ის პირნი, რომელთაც დიდძალი ვერცხლის ფული ექნებათ შეგროვილი, იმ შემთხვევაში თუ მოისურვებენ ქაღალდის ფულზე გადაცვლას სახელმწიფო კასებში და კერძოთ სახელმწიფო ბანკების კასებში, დიდ დაბრკოლებას ნახავენ და შევიწროებასაც, რადგან ძლიერ საძნელო საქმეა დიდძალი წვრილი ფულის მიღების დროს მათი დათვლა.

**სევასტოპოლი.** 18 აგვისტო. ჩვენმა ნაღმოსანმა გემებმა ოსმალთა რამდენიმე ხომალდი ჩასძირეს, ჯარისათვის საჭირო სანოვაგით დატვირთული. მეზღვაურნი დაატყვევეს.

**სამხრეთის ასპარეზი.**

**რომი** 18 აგვისტო. ოფიციალური ცნობა: არზიერის ჩრდილო-დასავლეთით მთაგორიან ველზე ჩვენ იერიში მივიტანეთ მონტე-მარონის გამაგრებულ პოზიციების წინააღმდეგ და გავრეკეთ იქიდან მტერი. შემდეგ. ავსტრიელებმა ძლიერ დაუშინეს ზარბაზნები ჩვენს ახლოს პოზიციას; მიუხედავად ამისა, ჩვენ იგი შევინარჩუნეთ და გავამაგრეთ. პლავას გარშემო იზონცოს შუა მიმდინარეობაზე ჩვენმა საუკეთესო მსროლელთა რაზმმა მოახერხა შეჩერება მტრის რამდენიმე ტყვიის მფრქვეველის და ყუმბარების მტყორცნელის მოქმედებისა, რომელნიც ძლიერ უშლიდნენ ხელს სანაღმო თხრილების გაკეთების დროს. გადმოგვცემენ, რომ გორიციას რკინის გზის სადგურზე დიდი მოძრაობაა. კარსოზე გუშინ დღისით უმნიშვნელო ბრძოლები ვითარდებოდა. სეიბუსის ზონაში ჩვენ ახალი სანგრები დავიპყარით, მოვკრიფეთ იარაღი და სამხედრო მასალა, რომელიც მტერმა დასტოვა. ზოგადი გამარჯვება მოვიპოვეთ აგრეთვე კავესელოში. მტრის არტილერია კვლავ უშენდა ზარბაზნებს მონფალკონეს შენობებს.

**სოლუნი.** 16 აგვისტო (დაგვიანებული). სტამბოლიდან ცნობები მოდის, რომ პური თითქმის აღარ მოიპოვება. პურის საცხობების წინ აუარებელი ხალხი სდგას. ფურნეებს პოლიცია იცავს.

მთელი ფლოტი ოსმალებისა სტამბოლში სდგას: „გებენსა" და „ბრესლაუს" ჯერ კიდევ აკეთებენ სტენიას მავთულებიან ხლართებით გადაღობილ ყურეში. ჯავშნოსანი „ტურგუტ-რეისი", კრეისერი „გამიდიე" და მცირე წყალქვეშა გემები გერმანელებისა, და რამდენიმე ნაღმოსანი კერატიონის ყუმბარები იმყოფებიან.

## ომის ამბები.

**დემოკრატიული რესპუბლიკა და მილიტარიზმი.**

ქ. ვაშინკტონიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო და საზღვაო მინისტრებმა ახალი კანონპროექტების შემუშავება უკვე დაასრულეს. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოიწონა ეს კანონპროექტები, მაშინ მათ საბოლოოვოთ შესამუშავებლათ კონგრესს გადასცემენ.

ზღვათა მინისტრი კანონპროექტით მოითხოვს: 1) უნდა აშენდეს 4 ახალი ზედრედნოუტი, 2 კრეისერი და მრავალი კონტრ-ნაღმოსანი. 2) უნდა გააწყონ 100 წყალქვეშა მავალი ნავი. 3) ფლორიდაში უნდა ააგონ გიდროპლანების ქარხნები. 4) უნდა გადიდდეს მეზღვაურთა რიცხვი 18,000 კაცამდის. 5) უნდა გაფართოვდეს ანნოპოლისის საზღვაო აკადემია. 6) უნდა მიეცეს საზღვაო სამინისტროს ახალი დამატებითი კრედიტი. 7) უნდა შედგეს გამომგონებელთა სპეციალური „კომიტეტი" მოქალაქეთაგან.

სამხედრო მინისტრმა გარისონმაც ასევე მოითხოვა; მისი აზრით მუდმივი ჯარისა და მილიციის საერთო რიცხვი 410,000 კაცამდის უნდა ავიდეს.

**ს. დ. ახალი შეკითხვა.**

სახელ. დუმის ს. დ. ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა ბრძოლის პირის ქალაქებიდან გამოდევნილ მუშების აწინდელი ყოფა-მდგომარეობის შესახებ. შეკითხვაში აწერილია, რა უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი სხვადასხვა ქალაქებიდან გამოდევნილი მუშები, ქალაქების „დაცლის" გამო. მაგალ. რიგიდან და სხვა. რომელთაც თავი შეუფარებიათ დროებით პეტროგრადის და სხვა ქალაქების ამხანაგებთან და რომელნიც საზოგადოებისა და მთავრობისგან კი უყურადღებოთ დარჩენილან.

**გაზეთ „დენის" განცხადება.**

„სსუუ... დიდი საიდუმლოა!" ამ სათაურით ზემოხსენებული გაზეთი შემდეგს აცხადებს: ნიკოლაევის რკინის გზაზე განცხადებებია გაკრული, რომლითაც მგზავრთ აუწყებენ, რომ მოსკოვში მიმავალ მატარებელთა რიცხვი შემცირებულიაო; მოსკოვის თითქმის ყველა გაზეთებში შეჩერებულ მატარებელთა №№ ებიც კია გამოქვეყნებული. მხოლოთ გაზეთი „დენის" რედაქცია ვერას გახდა, რომ ამ მატარებელთა №№ ბის გამოცხადების ნება მასაც მიცემოდა.

**ნამდვილი „მოღალატენი."**

მთავრობის განკარგულებით ქ. კიევში დატუსაღეს კიევის მიქელმთავარანგელოზის პალატის თავმჯდომარე ლომაკინი, ვაჭარი ხოროშინსკი და სხვები; სულ დატუსაღებულია 30 კაცი. ამათ ბრალდებათ იჯარის საქმეების შესრულების გამო თავიანთი უფლება-მოვალეობის ბოროტად მოხმარება.

---

# ერთი დღე სოფლად.

(განცდა)

(იხ. „სამშობლო" № 117, 118, 119 და 157)

პირველის ნახევარი იყო, როდესაც სადგურ ძირულაში მივედით. აქ დაგვხვდენ ჩვენი მასპინძლები და სოფელ შროშაში გაგვიწვიეს.

პირველად ვიყავ აქეთ და არ ვიცოდი საით უნდა წავსულვიყავ.

— შორს არის სოფელი შროშა?

— აი, აქანაა, ბატონო, მთის გადაღმა... სულ ახლოა, ორი-სამი ვერსი არ იქნება!.. მიპასუხა ახალგაზდა თანამგზავრმა და მიდამოს ხელი შემოავლო.

მხოლოდ ახლა განვიცადე რა ლამაზი და ტურფა იყო ეს მიდამო. ირგვლივ მაღალი მთები, ირგვლივ ტყე, წიფნარი, მუხნარი. იქვე ორი მდინარე. სადგურის შენობანი და დუქან-ბაზარი თითქოს მორცხვად შეჰფარებოდენ ამ მთა-გორაკებს. საზღაპრო ქალის მკერდივით ამობურცული მწვერვალები გარინდებულიყვნენ და საამბოროთ, საშიკოთ გიწვევდათ. ირგვლივ რაღაც დამათრობელი საიდუმლოება იყო, საიდუმლოება კდემამოსილი, გამოუცნობი, სანეტარო ..

ძალზე ცხელოდა კიდეც. ზაფხულის მზე მედიდურათ გადმომდგარიყო ცის გუმბათზე, მოემარჯვებინა თავისი მწვავე სხივები და ისეთის ძლიერებით ეტყორცნა დედამიწისათვის, რომ ქვეყანას ვარვარი გაჰქონდა...

ტყე—მწვანე ტყე—ჩაშავებულიყო, სიო არ იძროდა. ყოველივე და ყველაფერი მზეს დამორჩილებოდა. მხოლოდ ტყის ჭრიჭინები არ ისვენებდენ და ისეთის ძლიერებით გაჰძახოდენ თავის უსიამოვნო საგალობელს,—გეგონებოდათ, გრძნეულები არიანო.

გინახავთ ხომ ეს ჭრიჭინები? სულ პაწია ხარაბუზის ოდენაც არ იქნება. მოგრძო, ყვითელ-მწვანე. საძაგელი, ბრიალა თვალები აქვს, მაგრამ ვეშაპივით კი გაჰკივის. ულაზათოა მისი სისინ-ბზუილი, უაზროა ჰანგი იმის გალობისა, მაგრამ დიდი სიცხის დროს მხოლოდ ის მეფობს ტყეში და გონიერ ადამიანს გულისხმაში აგდებს.

— რათ, რათ უნდა ბუნებას ეს მწერები?...

იქნება თვით ადამიანიც ორფეხა „მწერია" ბუნებისათვის და ისევე აინუნში არ იგდებს მას, როგორც არაფრად აგდებს უბრალო ჭია-ღუას?

მართლა და, რა არის ადამიანი?

— სიმართლე—აი, ადამიანიო! ამბობს მაქსიმე გორკის ერთი „ბოსიაკი"—სატინი. მაგრამ „ბოსიაკს" რა დაეჯერება, როცა თვით იესომ ვერ ახსნა ჭეშმარიტება, სიმართლე...

სიმართლეა, რომ ადამიანი სცოცხლობს, აზროვნებს, ბობოქრობს, ნეტარობს, იტანჯება, კვდება, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანს ივიწყებენ ისე, როგორც დავივიწყებთ ხოლმე ოდესღაც ჩვენგან მოწყვეტილ ვარდს...

მე მინახავს, რომ მოსიყვარულე ცოლს მეორე ქმართან, ან საყვარელთან პირველი ქმრის სამარზე უცეკვნია!....

სადღაა აქ ხსოვნა ადამიანისა!...

მაშ, რა არის სიმართლე, ჭეშმარიტება?

არავინ იცის!

ყველას თავისებურათ ესმის ეს „სიმართლე". მე მგონია სიმართლე მხოლოდ ცვალებადობაა!...

დღეს ხარ, ხვალ აღარ იქნები. მოკვდები, დაგმარხავენ... დაგივიწყებენ... შენ საფლავზე ამოვა ბალახი და, თუ სოფლის ეკლესიას გალავანში იქნები დამარხული, მოვა ძროხა, ვირი, ან თხა და მოსძოვს იმ ბალახს, რომელსაც ღეროებში ჩასდგომია შენი ტვინისა და გულის გამონაჟური წვენი!

ადამიანი!... ხა, ხა, ხა! სიზმარია, ოცნებაა და სხვა არაფერი!

მაშ, რაღად შეუქმნია ადამიანს ჯოჯოხეთური ცხოვრება? რატომ არ ძღება მისი თვალი და მისი გული? რათ შეუპყრია იგი ბოროტ-გულის თქმას და რათ გადაჰყოლია იგი წვრილმანობას?

— ეს ჰკითხეთ თავ-დავიწყებას, ეს ჰკითხეთ ძალმომრეობით შექმნილ აუტანელ პირობებს ჩვენის უკუღმართის ცხოვრებისას!...

— Расходитесь, господа, на платформѣ нельзя стоять!....

დაგვძახა თავზე უზარმაზარმა ჯანდარმა და ეჭვის თვალით დაგვათვალიერა...

რა მეტი გზა გვქონდა, ცხვრებივით დავემორჩილეთ, დავმწკრივდით და გავუდექით შროშის გზას....

ერთ ხანს გაჰქრა ყოველივე მოჩვენებას, ხე, ტყე, მთები, მდინარენი უბრალო საგნათ გადაიქცენ...

თანამგზავრები ჩვეულებრივმა ბაასმა შეგვიყოლია და მალე სულ მდაბიო პროზაში გავეხვიეთ....

მუცელმა თავისი მოითხოვა.

უხმონი ვიყავით და, როცა დუქნების წინ გავიარეთ და საჭმელ-სასმელი დავინახეთ, კბილებმა კაწკაწი დაგვიწყო..

აი, სად არის დასაბამი ადამიანის სიმხეცისა!....

— შენ—ადამიანი—აზროვნებ, შესტრფი ბუნებას, ცას, ხმელეთს, ოცნებობ სიყვარულზე, უკვდავებაზე, მზათა ხარ ჩასწვდე მსოფლიოს საიდუმლოებას, ამაღლდე წვრილმანობაზე, დაამყარო ქვეყანათ ძმობა-ერთობა, თავისუფლება და ამ დროს შენდა უნებურათ გულის კოვზის ქვევით დაგიწყებს ოდნავ ღიტინს შენი-

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

✦ 19 ავგისტოს, ღამით, პოლიციე-ლების მიერ დაკავებული ის ჯარის კა-ცები, რომელნიც შარშან მობლიზაციის დროს გაათავისუფლეს, 20 აგვისტოს სამ-ხედრო საკრებულოში წარადგინეს. საკ-რებულომ ასეთი პირები ხელმეორე შე-მოწმების შემდეგ ყველა გაათავისუფლა. ჯერ მათთვის არაფერი გამოუცხადებიათ.

✦ სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც ამ მო-კლე ხანში სამხედრო ზეგარის მოსახლე-ლათ გაწვეული იქნებიან მეორე ხარისხის რატნიკებიც. მათი გაწვევის დრო ჯერ დანიშნული არ არის.

✦ კვირას, 23 აგვისტოს, შავიქვის საბჭოს დარბაზში მოხდება ქუთაისის დრა-მატიული საზოგადოების სხდომა, რო-მელზედაც მსჯელობა ექნებათ ზამთრის სეზონისათვის ქართული დასის მოწვევის შესახებ.

✦ ქუთაისის სახალხო სასწავლებლების დირექციის დადგენილების მიხედვით ამ მოკლე ხანში ქუთაისის გუბერნიაში სა-ხალხო მასწავლებლებისათვის ყოველ მაზ-რაში გაიხსნება ორ-ორი სამკითხველო. ქუთაისის მაზრაში: ქ. ქუთაისსა და დ. ხონში, შორაპნის მაზრაში: დ. ყვირილა-სა და საჩხერეში, ლეჩხუმის მაზრაში: დ. ცაგერსა და ლაილაში., რაჭის მაზრა-ში: დ. ონსა და ნიკორწმინდაში; ზუგდი-დის მასრაში: ქ. ზუგდიდსა მარტვილში; ოზურგეთის მაზრაში: ქ. ოზურგეთსა და ჩოხატაურში; სენაკის მაზრაში: დ. ახალ-სენაკში და ქ. ფოთში და ბათუმის ოლ-ქში, ქ. ბათუმსა ართვინში.

დირექციამ აგრეთვე მესამე რაიონის მასწავლებლებს ნება დართო გამართონ მასწავლებელთა საზოგადო კრება. ასეთი განზრახვა მასწავლებლებს დიდიხანია ჰქო-ნდათ და ნებართვას უცდიდენ.

✦ ქუთაისში ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ „სინათლემ“ მომავალი ქალ-თა ქართული გიმნაზიის წესდება უკვე შეადგინა, და ამ დღეებში კავკასიის სა-მასწავლო ოლქის მზრუნველს ბ. ნ. რუ-დოლფს გაუგზავნიან დასამტკიცებლათ.

✦ სოხუმის ქალაქის გამგეობას დაუ-დგენია სამოსწავლო სემინარიისათვის და-ნიშვოს 5 დესეტინა მიწა და შენობის ასაგებათ კი გადასდვას 8000 მანეთი.

✦ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრების გადაწ-ყვეტილების თანახმათ ბანკის გამგეობა ამ მოკლე ხანებში შეუდგება თფილისის ქუჩაზე სიმონოვის ყოფილ სახლის გადა-კეთებას ბანკის მოსათავსებლათ.

✦ კომერციული ცოდნათა გამავრცე-ლებელ საზოგადოების საზოგადო კრება-ზე კომიტეტის საპატივცემულო თავჯდო-მარეთ არჩეულ იქნა ამ საზოგადოების დამაარსებელი იოსებ გრიგოლის ძე კე-მულარია.

### შეცდომის გასწორება.

„სამშობლო“-ს გუშინდელს ნომერში ქა-ლაქის თავის წერილში: „თავად იასონ გელოვანის ხსოვნას“ შეცდომით არის დაბეჭდილი: „მიუხედავად ამისა დიდია, თვალსაჩინოა **მწერლობა**“, უნდა იყოს: „მიუხედავად ამისა დიდია, თვალსაჩინოა **მნიშვნელობა**“.

---

# ჩვენებური შანტაჟისტები.

ჩვენს უმწეოდ დარჩენილს დაბა-სოფლებსა და ქალაქებს სულთა მხუთავი გაზივით მოევლინენ შანტაჟისტები და მშვიდო-ბიან მცხოვრებლებს მწარ დღეს აყენებენ. არასოდეს ისე არ ყოფილა ჩვენში შან-ტაჟი გავრცელებული, როგორც დღეს იჩინა მან თავი და უშიშრად დათარე-შობს ყველგან. ერთიხ სიტყვით, ამ ვაჟ-ბატონებს არავის დღეს აღარ ეშინიათ და სულ მუსრს ავლებენ საცოდავ მცხოვრე-ბლებს. იშვიათად ჩაივლის კვირაში რო-მელიმე დღე' ანუ ღამე, რომ არ გაიგო-ნოთ: ამა და ამ სოფელში ამა და ამ შე-ძლებულს მოსახლეს დაეცენ თავს ქურდ-ბაცაცები, აწამეს, მოკლეს და ამდენი და ამდენი წაიღესო; ამა და ამ მოსახლეს ამდენს და ამდენს სთხოვენო“ და სხვა... ან ვისი შიში უნდა ჰქონდეს ამ ნაძი-რალებს. ძალიან ძვირად შეხვდებით ამ ჟამად ჩვენში ისეთს ოჯახს, რომელსაც უბრალო საჩიტე თოფი გააჩნდეს და სხვა რაიმე იარაღი ხომ თვალის დასანახავათაა მოსპობილი. საკვირველია ღმერთმანი! თუ რამე იარაღები გაგვაჩნდა, ყველაფე-რი დახიკეს და ჩვენს მფარველობას კი ზევრად მრავინ არ ეძებს. პირიქით, მფა-რველობას კი არა, თუ გაიგეს რომელი-მე მოსახლისას იყვნენ შანტმჟისტები გა-ძარცვეს, გაგლიჟეს იგი და მან კი თავის დროზე ვერ გააცხადა, სადაც ჯერ არს, ვაი მისი ბრალი მაშინ; მიცვივდებიან და სულ მათრახის ცემით გაუსივებენ ტანს! ერთის სიტყვით, დღეს უიარაღო ხალხი ორ ცეცხლს შუა იწვის: აქეთაც ეშინია, თუ დროზე არ შეატყობია ვისაც ჯერ არს, და იქითაც ეშინია შენტაჟისტების გამხელის. ძალიან ხშირადაა ისეთი მაგა-ლითები, რომ დღეს ჩვენი ნაძირალა ქურდ-ბაცაცები აღარავის აღარ ზოგვენ, აღარავის აღარ ინდობენ' სტანჯავენ უღ-მერთოდ, აწამებენ ყველა ჩვენთაგანს, ვინც კი წავა მათი სურვილის წინააღ-მდეგ, ვინც გაბედავს და გაუწევს მათ ურჩობას, არ შეუშინდება მათ მუქარას და გაილაშქრებს ფიზიკური ძალით მათ წინააღმდეგ. ასეთს „ურჩს“ პირებს იგინი მკაცრად ეპყრობიან ძალიან და თუ ვი-ნიცობაა ხასიკადილოდ ვერ იხელთეს რომელიმე მათგანი, სულ ერთია მათვის, აღარაფერს აღარ გაუშვებენ მის ბარობა-ზე, სულ ცეცხლსა და ნავთს მისცემენ მის მოძრავ ქონებას, რაც კი რამ გააჩნია სულს აქით. აი ისეთი მაგალითები ძლიერ ამ ბოლო დროს ერთობ გახშირდა. თით-ქმის ამ ერთი კვირის განმავლობაში — სა-მი ასეთი მაგალითი მოხდა.

ერთმა შეძლებულმა გლეხმა, რომე-ლიც ცხოვრობს სოფელს ძევრში და რომელსაც ორი შვილის მეტი არა ყავს (უნცროსი ბრძოლის ველზეა) დიდი „ურ-ჩობა“ გაუწია მათ, არაფელი არ მისცა, რასაც ითხოვდნენ და კიდევაც შეატყო-ბია სადაც ჯერ არს. ამ სოფელში ხუთი ამა თვეს საშინელი სურათი დატრიალდა: ზემოთ დასახელებულს გლეხს ნიკ. ფორ—ძეს, რომელმაც არ დააკმაყოფი-ლა შანტაჟისტების საზიზღარი მადა-გა-ხსნილობა, დაეცენ თავს მოულოდნელად საღამოს ცხრა საათზე და საოცარი სრო-ლა ასტეხს. ბედად მამასა და შვილს სა-ხლიდან გაესწროთ, შინ არავინ არ დახ-ვდა მათ, გარდა ერთი ქალისა, რომელ-საც თურმე პატარა ბავში ეჭირა ხელში, ეს ქალი ბავშიანა ცემა-ტყეპით გამოაგ-დეს გარედ და თვითონ კი შეუდგენ უში-შრად თავიანთი საძაგელი განძრახვის სისრულეში მოყვანას. ბევრი ეძიებს თუ-რმე მამა და შვილი შიგნით, რადგან და-მალული ეგონათ, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს; ეზოშიდაც ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერც იქ ნახეს. ბოლოს რადგან ველარ იგდეს ხელთ მამა-შვილი და ველარ დააკლეს ვერაფელი, კვლავ შეცვივდნენ თურ-მე სახლში, გადმოაღაგეს თუ რამე გააჩ-ნდა სახლში' დაუყარეს ერთად თავი, გა-დაასხეს ზედ ნავთი და ასე ამგვარად ცე-ცხლის ალს მისცეს ყველაფერი. აი, ამ დროს შეიქნა საშინელი ალიაქოთი გა-მოცვივდნენ მცხოვრებლები და საოცარი ყვირილი შექნეს. ვინც იცის, რომ ასე არ მოქცეულიყვნენ მცხოვრებლები, დღეს ყველაფერი გადამწვარი იქნება იმ გლეხის ბარობაზე, მაგრამ ყვირილ ქიქი-ნზე გადაცვივდნენ შანტაჟისტები, რადგან შეეშინდათ მათ ალყის შემორტყმისა. ხა-

---

სავე სხეულის ერთი ნაკვთი, რომელსაც კუჭი ჰქვია (ფუი, რა პროზაიკული სახე-ლია!), და იმდენს იზამს, რომ ყველა-ფერს დაგავიწყებს...

— რა დროს პოეზიაა! მშიან, მაჭა-მეო! და...

შენც, მეოცნებე—ჩამოდიხარ პირუტ-ყვის ხარისხამდე და ისე ილუკმები, რო-გორც მშიერი მგელი. მე მგონია, ამ წუ-თას არავითარი გარჩევა არ არის მხეცსა და ადამიანს შორის, თუ არ ვიგულის-მებთ იმ გარემოებას, რომ ადამიანი ხარ-შავს საჭმელს და აზავებს მას ათასგვარ საკაზმავით, რომ უფრო დაატკბოს გე-მოვნება...

შევედით ერთ ჭუჭყიან დუქანში. იქა-ურობა ყარდა, ისეთი ფესტომალი ეფარა ბიჭს, რომ გული აგერეოდათ... მაგრამ როცა საჭმელი მოგვიტანეს და სუფრა გაშალეს, ყველაფერი გადაგვავიწყდა.

ერთ ხანს ხმა გაკმენდილნი ვილუკმე-ბოდით, ხოლო როცა (კოტათი გული მოვიძლეთ და რამდენიმე ჭიქა ღვინო გა-დავხუხეთ, მხოლოდ მაშინ აგვეხილა თვა-ლები...

— ბინძურები ვართ ქართველები! წარ-მოსთქვა ერთმა. რა უბედურებაა? ე წყა-ლი ხომ ახლოა? ფესტამალს მაინც ვერ გაირეცხავ, ბიჭო!—მივმართეთ დახლი-დარს.

— ვისა სცალია, შე დალოცვილო, ფესტამალის გასარეცხათ, ან რა საჭი-როა?

— როგორ თუ რა საჭიროა! მაშ არ გესმის რა არის სისუფთავე?

ბიჭმა მხრები აიწია და აბდალივით გაი-ღრიჭა.

— ჯერ ბევრი გვაკლია ქართველებს. კულტურა არა გვაქვს... ვცხოვრობთ ისე, ინერციით და დღეს მხოლოდ იოლია-ნობაში ვცლამებთ. პატრონი არა გვყავს... განათლება არა გვაქვს. ასეთი ბუნება რომ ჰქონდესთ, მაგალითად გერმანე-ლებს... დაიწყო მეორემ.

— სსუ! გერმანელებზე ლაპარაკი არ შეიძლება—სიცილით გააწყვეტინა მესა-მემ და დაუმატა: მართალია ხალხოსნუ-რი, საერთო განათლება არა გვაქვს, მაგ-რამ მეცნიერები კი ბევრი გვყავს.

აბა, აიღეთ რომელიც გნებავთ ინტე-ლიგენტი კი არა უბრალო ნოქარიც-კი თუ ყველა არა მეცნიერობდეს, ქვეყნის ხსნაზე არ ფიქრობდეს. შინ ცხვირი ვერ მოუხოცნიათ, ჭიქა ვერ გაურეცხნიათ და მსოფლიოს კი შველას პირდებიან...

> — დაასხი, დამალევინე,
> ე ღვინო ოხერ-ტიალი,
> იქნება წაღმა ვიფიქრო,
> ქვეყნის უკუღმა ტრიალი!

დაიღიღინა ერთმა ჩვენთაგანმა და დაუ-მატა:

— რა დროს ფილოსოფოსობაა. ერთ დღეს მაინც გავიხსენოთ, რომ ყველა უბ-რალო მომაკვდავნი ვართ...

— სად არის ახლა ჩვენი ექიმი? უც-ბათ წამოიძახა ვიღამაც.

— რომელი ექიმი?

— აი, ძალიან მეცნიერი.

— რაში მოგაგონდა?

— აქ რომ იყოს, ჩვენ ნიკოს გადა-გვარებულთა სიაში ჩასწერს. მეოთხე თუ მეხუთე ჭიქასა სვამს.

— რასაკვირველია! თითონ რომ მუ-ცელი არტახებით აქვს შეკრული—ბევრი საჭმელი არ მომინდესო—და თათო ურია-სავით კაპეიკს კაპეიკზე ადებს, პურმარი-ლიანი კაცი იმას გადაგვარებული ეგო-ნება. გადაგვარებულიც თითონ არის და ზედმეტიც. მაგრამ ისიც მოკვდება.

> დაასხი, დამალევინე,
> სული ნუ დამალევინე!

— გეყოფა, შე ლოთო შენა!

— ლოთი ის არის, ვისაც ორი ჭი-ქის დალევა არ შეუძლია და ოთხ ჭიქა-სა სვამს. მე კი ათის დალევა შემიძლია და სულ ოთხი ჭიქა კი დავლიე...

ეჰ, ყმაწვილებო, ბევრი ჭკუის კოლო-ფია ჩვენში... მაშ რითი გამოიჩინონ თავი ცხოველებმა, თუ კაცის სულსა და გულში არ დაიწყეს ხელის ფათური? თვით უქნარანი, ლოკოკინები, წურბლე-ბი, უტვინონი და უგულონი სხვას ჭკუას არიგებენ, რომ თავისი სიგლახე და კრი-ჟანგობა დაჰფარონ... ჩვენში ხომ ყველა-ფერი უკუღმაა მოწყობილი. ჩვენში— პოეტისა არ იყოს—ჭკუა ხაშია, გრძნო-ბა არტალა!.. აბა გახედეთ, ამ მშვენიერ ბუნებას, ამ სიმდიდრეს! აბა ახლა შეხე-დეთ ჩვენს ხალხს, ჩვენ გლეხობას! განა ასეთი მშიერი, უვიცი, დათენთილი და დაბეგვილი უნდა იყვენ? სადა ბრძანდე-ბიან ეს მეცნიერები: ექიმები, ვექილები, მღვდლები, მასწავლებლები, აგრონომები, ჩინოვნიკები და სხვები და სხვები. და სხვები? რატომ არას ასწავლიან ხალხს, რატომ მათთან არ არიან? ყველა იმასა სცდილობს, რომ თავისი პირადი ცხოვ-რება მოაწყოს, აიშენოს სახლები, შეირ-თოს თავისთანა გულ-ფუყე ცოლი, გა-ზარდოს თავისთანა სულმოკლე შვილები და ამავე დროს ბატონი იყოს ცხოვ-რებისა..,

— ძირს ბურჟუები, გაუმარჯოს მშრო-მელ ხალხს! სიცილით გააწყვეტინეს სი-ტყვა ნიკოს და მედუქნეს ანგარიში მოს-თხოვეს...

მედუქნემ დანახარჯი ერთი სამათ გვიან-გარიშა და დიდი სალამ-ქალამით გზა დაგვილოცა...

**ია ეკალაძე.**

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხმა სახლები დაწვისაგან გადაარჩინა. მეორე—თუ მესამე ღამეს სოფელს ალი-სუბანში დასხმოდნენ თავს ერთს ადგილობრივ გლეხს, რომელსაც თურმე შვილი ომში ყავს გაგზავნილი, და ხუთმეტ თუმნამდის წაერთმიათ. ჩხარის ბოქაულმა სასტიკი გამოძიება მოახდინა ამის თაობაზე და კიდევაც დაატუსაღა მძარცველთაგანი ერთი, ფულიც მოატანია ვაიუთ და დაუბრუნეს პატრონს, რომელიც ძალზე მოხუცებულია თურმე.

ერთის სიტყვით, კვირაში ძალიან იშვიათად ჩაივლის რომელიმე დღე, ან ღამე, რომ არავის დაესხენ თავს და არ ააწიოკონ. ბევრს მოსდის მუქარის წერილები, თუ არ დაამზადე ამდენი და ამდენი, ამ ცოტა ხანში მოგსპობთო და სხვა...

მაშ, რა გვეშველება, როგორ მოვიქცეთ, ვის მივმართოთ საშველად? მართალია მთავრობა ყველგან დიდს სიფრთხილეს იჩენს და განსაკუთრებით ჩხარის ბოქაული დიდს ენერგიულს ზომებს ხმარობს მათ წინაალმდეგ, მაგრამ, თუ ჩვენც არ დავეხმარეთ, მარტო ბოქაულები ვერას გახდებიან. რადგან ისე გაიხრწნენ ეს ვაჟბატონები, ბრალიანი და უბრალო ყველა ერთმანეთს აყვეს, დაკარგეს ადამიანური გრძნობა, აღარ გვზოგავენ არაფრით, ისედაც გამწარებულს წუთისოფელს გვიმწარებენ და გვიასკეცებენ ნაღველსა და დარდს.

დროა ჩვენც შევერთდეთ, არ შეუშინდეთ არავითარ მათს მუქარას, მივიღოთ ყოველგვარი ზომები მათ ასალაგმავათ. მართალია, უიარაღონი ვართ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“-ო ჩვენაც შევსძლებთ მათ სამარცხვინო თარეშის სამუდამოდ ალაგმას, თუ ნამდვილ ერთობასა და ნამდვილ ერთსულოვნებას გამოვიჩენთ მათ წინაალმდეგ ბრძოლაში. უმისოთ კი საშველი ჩვენი არ იქნება როგორც ამ საქმეში, ისე სხვაშიაც.

**ი. ძირულიხპირელი.**

## ღია წერილი

**მასწავლებელ ვარლამ დავითის ძე ძიძიგურს.**

სოფ. მათხოჯიდან (ხონის რაიონი) ჩამოსულმა სანდო გლეხებმა ამ დღეებში გადმოგვცეს შემდეგი ამბავი: მათხოჯში ცოტა ხნის უკან დამშეულთათვის დაურიგებიათ სამი ათას მანეთამდე დახმარება.

ფულების ქუთაისიდან სოფლად ჩამოტანა თქვენთვის მოუნდვიათ, თქვენ კი, როგორც ეს გლეხები არწმუნებიან, ამ შრომისთვის თუთხმეტ თუმნამდე აგიღიათ დამშეულთათვის დასარიგებელ ფულებიდან. ჩვენ ამაში ეჭვი შევიტანეთ—როგორ უნდა მისცეს კაცს სინიდისმა, რომ 30 ვერსის იქეთ აქეთ გავლაში საწყალ გლეხებს 150 მანეთი გადაახდევინოს! ამიტომ ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს გთხოვოთ, გვაცნობოთ გაზეთის საშუალებით—მართალია თუ არა ეს ხმები და თუ მართალია, გთხოვთ სწორი ანგარიშიც გვაცნობოთ გაზეთისავე საშუალებით.

გლეხებმა სთქვეს აგრეთვე, რომ კომისიამ უგულოდ გაანაწილა ფულები და ბევრს ისეთს მისცა, ვისაც არ ერგებოდა, ხოლო ნამდვილი გაჭირვებულნი კი ბევრი ხელცარიელი დარჩაო.

გვაცნობეთ რამე ამის შესახებაც.

**ხონელი მასწავლებელი.**

## ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ინსპექტორს ბ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯაფარიძეს და ბ. პეტრე პავლეს ძე გელეიშვილს.

ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობებთა შორის გავრცელებულია ხმები, რომ მე ვიბოროტმოქმედე, მათი ნდობით და რიგს გარეშე ვისარგებლე ათი ვაგონით სიმინდის გადმოსაზიდავათ და ამ ნაირათ გაჭირვებაში ჩავაგდე სხვა ამხანაგობეები. ამ ხმებს როგორც მეუბნებიან ავრცელებთ თქვენ ბ. ალექსანდრე ივანეს ძევ და პეტრე პავლეს ძევ, ამიტომ სანამ რაიმე პასუხს გავცემდე მათ, ვისაც ეს ეინტერესება, გთხოვთ მიპასუხოთ მარტივათ.

მართალია თქვენ არწმუნებთ ამხანაგობებს, რომ მე რიგს გარეშე ვისარგებლე ათი ვაგონით, რომელიც არ ეკუთნოდა ჩვენ ამხანაგობას, ე. ი. ევირილის საკრედიტო ამხანაგობას. თუ ეს ხმები გავრცელებულია სხვა მავნე პირთაგან, რომელთაც უნდათ შური და მტრობა ჩამოაგდონ ამხანაგობათა შორის?

ველი თქვენ პასუხს მოკლე ხანში.

ევირილის საკრებულო ამხანაგ. თავჯდომარე

**ი. გუნცაძე.**

## ს ი ტ ყ ვ ა

თქმული დეკანოზი ა. ი. აბესაძის მიერ ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში პანაშვიდზე. კვირას, 2 აგვისტოს.

(დასასრული, იხ. სამშობლო № 157).

უბედობამ ამ დღეებში კიდევ დამწვარზე დუღარე დაგვასხა, დათუთქულზე ღვიერო დაგვაყარა, ასე უნუგეშოთ აგვატირა: მთის არწივის ვაჟა-ფშაველას უდროოთ დაკარგვით.

განა ამას უბედობა არ ქვია? განა საქართველოს ბედი უწერია? ცხადია, არა. ვაჟა ფშაველა იყო ფშავეთის სოფელ ჩარგალის მცხოვრები, ღვდელი პავლე რაზიკაშვილის შვილი, სახელათ ერქვა ლუკა. სწავლა საშუალო სასწავლებელში (საოსტატო სემინარიაში). მიიღო. უმაღლეს სასწავლებელშიდაც დაყო რამოდენიმე წელიწადი, მაგრამ დიპლომით აღჭურვილი არ იყო, თუმცა ბევრ დიპლომიანზე მეტი სარგებლობა მოუტანა სამშობლოს. ერთ ხანს მსახურებდა თავის სოფლის შკოლაში მასწავლებლათ, მაგრამ იმ მიზნით კი არა, რომ შემდეგ დაწინაურებას მიიღებდა და დიდ ჯამაგირიან ადგილზე გადაიყვანდენ, არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სწავლა-განათლების სხივი შეეტანა დაბალ ხალხში. შემდეგ კი მეურნეობა აირჩია რომ, ხალხში ეს დარგიც გაეუმჯობესებია და თავის მოძმეთა ჭირვარამი გაეზიარებია, შეემსუბუქებია. ამიტომაც თავის სოფელს იშვიათად შორდებოდა. ვაჟა იყო ერთი უნიჭიერეს მწერალ-მგოსანთაგანი. მან სავსებით გაგვაცნო მთიელების აზრი და გრძნობა და მთელი მთიულეთი სრული თავისი შემადგენლობით: ცხოველებით, ფრინველებით, მცენარ-ბალახეულობით, მთა გორებით და მიწა-წყლით. მისი ენა მომხიბლავია, მისი გონება გამჭრიახია, მისი აზროვნება სიმბოლიურია. ნათქვამია: „ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველათ ჭკუა-გონებას წაართმევსო და თუ კაცის დაჯილდოება უნდა, ბუნების ენას ასწავლისო“. სწორეთ ეგეთი ნიჭით იყო დაჯილდოვებული აწ განსვენებული ვაჟა-ფშაველა. მან გვამცნო ბუნების მრავალი საიდუმლოება ვინც მის ნაწერებს საფუძვლიანათ გაეცნობა, ის იგრძნობს მისი ნიჭის ბუმბერაზობას, მისი შემოქმედების სიდიადეს. ვაჟამ შეაყვარა მთა ბარს და ბარი მთას. სულით ძლიერი და გამბედავი ვაჟა. ნამდვილი განსახიერება, განხორციელება იყო ფოლად-გულიანი და მედგარი მთიელისა. ვაჟას პოეზია მთის ამაყი და შეუპოვარი არწივია. ის ამაყად და გაბედულათ გასცქერის ზღვასავით ამობოქრებულ ცხოვრებას, გულს არ იტეხს, სასოება-იმედს არ კარგავს. თავისი ეროვნების იდეალებს გაბედულათ და თავგამოდებით ემსახურება. სამშობლოს აყვავებას და გამშვენიერებას შეტრფის და გულახდილათ გაიძახის:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით
მკვდარსაც კი გაეცინებაო.“

შუა ხნის კაცი იყო (54 წლის) უდროვოა მისი სიკვდილი, მაგრამ რა ვქნათ! ესეც ჩვენი უბედობის შედეგია. ტყვილათ კი არ სთქვა სულმნათმა შოთამ: „ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“-ო!

ვინუგეშოთ ეხლა მით, რომ ზემოაღნიშნულმა დიდებულმა პირებმა აღზარდეს ახალი თაობა. იმედი გვაქვს, რომ ამ ახალ თაობაში აღმოჩნდებიან, გამობრწყინდებიან მრავალი ახალი რუსთაველები, ილიები, არჩილები, აკაკები, ვაჟა ფშაველები და სხვა მრავალი გმირები.

ხალხური ბრძნული ანდაზა ამბობს: „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი სჯობდეს მამასაო.“ და ჩვენც ვიმედობთ, გვრწამს, რომ ახალი თაობა ყოველ საქმეში კეთილში წინ გაუსწრებს ძველს, და მით პროგრესის წინ სვლის, განუწყვეტლობის გზაზე დააყენებს აღსაზრდელ მომავალ თაობას. თუ ოდესმე საქართველოს ჩანგს ეშხით უღერია და გულს ტკბილათ უძგერია, ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სიმები შეთანხმებული ყოფილა, კილო შეხმატკბილებული ქონია და სიმებიც სუსტები არ ყოფილან, რომ მძლავ თითების ზედ გათამაშებით არ დაწყვეტილიყვნენ, არამედ მწყობრი ჰარმონია გამოეცათ. ამიტომ აუცილებელი საჭიროება არის, რომ ამ საზოგადო ჩანგის მორთვა-მოწყობას ერთგულათ შევუდგეთ. სიმები შევახმატკბილოთ, შემადგენლობა გავამაგროთ-გავასპეტაკოთ.

შენ კი ძვირფასო ეროვნულო მუშაკო, ვაჟავ, განისვენე იქ, სადაც შენი საყვარელი საქართველოს თავდადებულნი მამულიშვილები განისვენებენ. ვინც სამშობლოს არ ივიწყებს, მას არც სამშობლო დაივიწყებს. გვრწამდეს, რომ ჩვენში შენი კეთილი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება. ვისაც შემთხვევამ ნება არ მოგვცა, შენს ჩვენთვის ძვირფას ნეშტს დღეს დიდუბის სასაფლაომდის მივყოლოდით, სულით მაინც შენი ცხედრის გარშემო დავფუსფუსებთ. ამნაირათ მოწიწებით მუხლს მოვიყრით და შორიდან (ქუთაისიდან) გონებით ვემბორებით შენ გაციებულ გვამს. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, სახელოვანო მამულიშვილო!

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკოებული**

**მ. ზ. კვინიხიძის**

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისაღები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან,** სწავლა კი 1 სექტ. **პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება,** სადაც მიიღებიან **სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.**

**დაიბეჭდა** ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მ:ია—მათე ყაჩაღათ წოდებული.

**იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.**

**განცხადება.** ძმ. ჟორჟოლაძეები აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღებთ

**რამდენიმე ვაგონს თეთრსა და ყვითელ ს ი მ ი ნ დ ს,**

რომელსაც გავყიდით **ფუთს თვრამეტ შაურათ.** სიმინდს ვყიდით ქუთაისში ჩვენს საბაკალეინო მაღაზიაში, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, ხრესილში სადგურის პირდაპირ და ტყიბულის სადგურთან. ტყიბულის მუშტრებისთვის, ქუთაისში და ხრესილში უკვე მიღებულია და თანაც ველით.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.